გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 204

2024 წლის 13 დეკემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის ერთ ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

№1 დანართი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 დეკემბრის №226 განკარგულებით დამტკიცდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა შემდეგი სახით: თავმჯდომარე მანუჩარ ლაფაჩი, კომისიის წევრები კობა ბერიანიძე, ლიანა ოქროპირიძე, გიორგი გოგშელიძე, ჯაბა იმერლიშვილი, იოსებ მუმლაძე, ბორის გოგიჩაიშვილი, თამარ მურალოვა, მერაბ გოხელაშვილი, მაია ბოლაშვილი, კახა ლობჟანიძე, ნანა ლოთიშვილი, გივი გინტური (სულ 13 (ცამეტი) წევრი).

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია აქტიურად მუშაობს და ასრულებს მისთვის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

განხორციელებული ქმედებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა კომისიის 15 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე კომისიის მიერ სულ განხილულ იქნა 71 საკითხი აქედან კომისიის მიერ 63 საკითხის თაობაზე მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა, 4 საკითხის თაობაზე მიღებულ იქნა უარყოფითი დასკვანა, 4 საკითხი კომისიამ წარმოადგინა კვარტალური სამუშაო გეგმის სახით; ამასთან ჩატარდა კომისიების ერთობლივი სხდომა გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განსახილველად.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა 11 ინიციატივა და მოეწყო მოსახლეობასთან კონსულტაციები: 2024 წლის 25 იანვარს ქ. გორში იოსებ ალიმბარაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე, 2024 წლის 25 იანვარს ქ.გორში არსებული თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებისთვის თამარ მეფის სახელის მინიჭების თაობაზე, 2024 წლის 21 მარტს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში ანასტასია თუმანიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 31 მაისს სოფელ ბერშუეთში იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 31 მაისს სოფელ დიდ გარეჯვარში ზაზა მუნჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 9 ოქტომბერს სოფელ არბოში ანტონ ფურძელაძის სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 9 ოქტომბერს სოფელ მერეთში დიმიტრი ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 9 ოქტომბერს სოფელ კოშკაში ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 27 ნოემბერს ქ. გორში სოგრატ ჭულუხაძის სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 27 ნოემბერს ქ. გორში ჩიხისთვის გაბრიელ გვერდწითელის სახელის მინიჭების შესახებ, 2024 წლის 27 ნოემბერს სოფელ ხიდისთავში ჩიხისთვის გიორგი ტლაშაძის სახელის მინიჭების შესახებ, რომელთა თაობაზე კომისია დებდა დასაბუთებულ დასკვნებს, განსაზღვრავდა მიზანშეწონილობას კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია ყოველ კვარტალურად ადგენდა სამუშაო გეგმას და მის შესაბამისად ისმენდა წარმოდგენილ ანგარიშებს. კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ისმენს შესაბამისი თანამდებობის პირების განმარტებებსა და მოსაზრებებს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით აქტიურად განაგრძობს მასზედ დაკისრებული უფლება მოვალეობების განხორციელებას.